

შპს ოკეასიო ნოვა
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2024	2023
ამონაგები	13,217,751	-
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	-13,106,991	-
საერთო მოგება / (ზარალი)	110,760	-
ადმინისტრაციის დანახარჯები	-51,401	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	59,359	-
ფინანსური შემოსავალი	14,311	-
ფინანსური ხარჯი	-669,310	-
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/ (ზარალი), წმინდა	-211,869	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-149,274	-
მოგება/ზარალი დაზღვევამდე	-956,783	-
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება/ზარალი	-956,783	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სრული მოგება/ზარალი	-956,783	-

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

დიმიტრი ნაფეტვარიძე



[Handwritten signature in blue ink]

შპს ოკეასიო ნოვა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	-	-
არამატერიალური აქტივები	-	-
გაცემული სესხები	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	-	-
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,525,265	-
გადახდილი ავანსები	671,532	-
გაცემული სესხები	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	306	-
სულ მიმდინარე აქტივები	3,197,103	-
სულ აქტივები	3,197,103	-
კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	100	-
დაუფარავი ზარალი	-956,783	-
სულ საკუთარი კაპიტალი	-956,683	-
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული გრძელვადიანი სესხები	3,448,777	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,448,777	-
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	126,097	-
მიღებული მოკლევადიანი სესხები	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
გადასახდელი ხელფასები	-	-
სხვა ვალდებულებები	578,912	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	705,009	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3,197,103	-

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

დიმიტრი ნაფეტვარიძე



Handwritten signature in blue ink.

შპს ოკეასიო ნოვა
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(14,495,461)	-
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	14,574,115	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	78,654	-
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(78,348)	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	306	-

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.

Handwritten signature

დირექტორი:

დimitრი ნაფეტვარიძე



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ოკკასიო ნოვა“ დაფუძნებულია 2024 წლის 26 თებერვალს და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 404714788. კომპანიის 100% იანი წილის მფლობელია დიმიტრი ნაფეტვარიძე (პ/ნ 01008013865)

შპს „ოკკასიო ნოვა“-ს იურიდიული მისამართია : ი, მთაწმინდის რაიონი, ტარას შევჩენკოს ქუჩა, N 1, სადარბაზო 1, სართული 3, საოფისე ფართი N21, თბილისი

კომპანია წარმოადგენს კერძო იურიდიულ პირს, რომელიც ყიდის ნავთობპროდუქტების. საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის დირექტორია დიმიტრი ნაფეტვარიძე (პ/ნ 01008013865)

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2024
1 USD/GEL	2.8068
1 EUR/GEL	2.9306



2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი სიხშირის ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყველა თანხის შეგროვებას თანხის ანაზღაურების მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოების დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.



კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ. აქტივების შეძენისთვის გადახდილი ავანსები გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ამონაგების აღიარება

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, შემოსავლებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა, როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიეძინება ერთეულში და როდესაც დაკმაყოფილებულია კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით.

აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწვევს სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

